წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი №5

ქ.წალენჯიხა 2020 წლის 26 მარტი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია
საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 23 დეპუტატი: თემურ ღვინჯილია, დარეჯან დადიანი,მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია, დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია, დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, აშხორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, დავით ფიფია, ბაკურ სონგულია,ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ბაჩუკი უბილავა, ნონა მიქავა, ირაკლი ხარჩილავა.

საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: კახაბერ ჯოლოხავა, ვლადიმერ კვარაცხელია,ნონა გუჩუა, ავთანდილ გაბელია,ელგუჯა მესხია, დათა აკობია, გიორგი აბულაძე.

აქედან საპატიო მიზეზით საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: კახაბერ ჯოლოხავა, ვლადიმერ კვარაცხელია, ნონა გუჩუა, ავთანდილ გაბელია,ელგუჯა მესხია, დათა აკობია, გიორგი აბულაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ცოტნე შონია, მერის მოადგილე სევერიანე შეროზია, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 12: 45 სთ.

კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებით სხდომა ჩატარდა დისტანციურად , ყველა სათანადო ნორმების დაცვით.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და აღნიშნა, რომ, ,,სხდომის ჩატარება გვიწევს უჩვეულო ვითარებაში, მან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფს მიმართა სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხში მოკლედ გაგვაცნონ მუნიციპალიტეტში ამ დროისთვის არსებული მდგომარეობა .

საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (განკარგულება N 7).

დღის წესრიგი:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: **თენგიზ ფიფია**-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო

საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **თეა სარია**, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **ჯემალ ბელქანია**, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

4. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აგვისტოს №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **ჯემალ ბელქანია**, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

5. სხვადასხვა.

მოისმინეს : 1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.ბ

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ ფიფიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N5).

მოისმინეს: 2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ მიზანშეწონილად მიიჩნია წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფში შეყვანილ იქნეს სოფლის მეურნეობის კუთხით კომპეტენტური პირი . ყველა გეგმა და რაც კეთდება უნდა იყოს საზოგადოებისთვის ღია.

დავით ბელქანიამ მიმართა მერის პირველ მოადგილეს ცოტნე შონიას, მერიას შეუძლია თუ არა დამოუკიდებლად ხსნარის შეძენა და გააჩნია თუ არა დანადგარი რითაც შეძლებენ ქალაქში დეზინფექციის ჩატარებას ?

მერის პირველმა მოადგილემ ცოტნე შონიამ განმარტა, რომ ამ ეტაპზე არ არის მითითება, რომ დამოუკიდებლად შევიძინოთ ხსნარი, საჭიროების შემთხვევაში შესაწამლად გამოყენებული იქნება ფაროსანას შესაწამლი მანქანები.

საკრებულოს წევრმა ირაკლი ხარჩილავამ აღნიშნა, მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით მოხდეს ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება (საწვავი) და ყველა საჯარო მოხელეს ხელფასიდან 30 % გადაირიცხოს სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობის დასახმარებლად.

მერის პირველმა მოადგილემ ცოტნე შონიამ აღნიშნა, რომ მზადდება სია სადაც დაახლოებით 800 ბენეფიციარია, ესენია 70 წელს ზემოთ მარტოხელები, დედ-მამით ობლები, მარტოხელა დედები ასევე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს დაურიგდებათ საკვები პროდუქტები. ამ კამპანიაში ასევე აქტიურად არიან ჩართული ადგილობრივი ბიზნესმენები.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 22 დეპუტატი, თავი შეიკავა ირაკლი ხარჩილავამ) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N6).

მოისმინეს: 3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ჯემალ ბელქანიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

კენჭისყრის დაწყებამდე დარბაზი დატოვა ირაკლი ხარჩილავამ.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N7).

მოისმინეს: 4. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ წალენჯიხის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აგვისტოს №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ჯემალ ბელქანიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N8).

მოისმინეს: 4 სხვადასხვა.

წალენჯიხის საზოგადოებრი ჯანდაცვის ცენტრის უფროსმა თამარ კვარაცხელიამ , აღნიშნა ,ომ დღეისთვის მუნიციპალიტეტში 38 ადამიანი არის თვითიზოლაციაში , მათი ისტორია უკავშირდება უცხოეთში მოგზაურობას. გვაქვს მათთან ყოველდღიურად კონტაქტი. ასევე რიგდება ფლეიერები რათა მოსახლეობა გაეცნოს ელემენტარულ წესებს.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**